17 სექტემბერს თბილისის „დინამოს“ გასვლითი შეხვედრა ჰქონდა დონეცკში

„შახტიორთან“. თბილისელებს და დონეცკელებს წლევანდელ სეზონში მოკრძალებული მიზანი აქვთ დასახული - შეინარჩუნონ ადგილი უმაღლეს ლიგაში. ამ შეხვედრამდე თბილისელები 2 ქულით უსწრებდნენ მეტოქეს. გამარჯვების შემთხვევაში კი „შახტიორი“ მკვეთრად იუმჯობესებდა სატურნირო მდგომარეობას.

შეხვედრა უშეღავათო, მწვავე ბრძოლაში მიმდინარეობდა. პირველ ნახევარში გუნდების მცდელობას გაეხსნათ ანგარიში შედეგი არ მოჰყოლია. ერთადერთი ბურთი, რომელმაც გადაწყვიტა ამ მატჩის ბედი მეორე ტაიმის 62-ე წუთზე ახლო მანძილიდან მოულოდნელი და ძლიერი დარტყმით გაიტანა გაიტანა კობოზევმა.

თბილისელებმა ეს შეხვედრა ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს: „დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ცვეიბა, არზიანი, რევიშვილი (დარასელია), სვანაძე, ნემსაძე, ქეცბაია, კაჭარავა, გოგიჩაიშვილი (ყიზილაშვილი).

დუბლიორთა მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით – 2:1. ბურთები გაიტანეს ჯიშკარიანმა და ყიზილაშვილმა.

“ლელო” 19.09.89